თურქეთისა და რუსეთის პოლიტიკური ინტერესების გადაკვეთა სამხრეთ კავკასიაში (პოლიტიკური რეალიზმის თეორიის მიხედვით)

შორენა კოტორეიშვილი

„ სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად“

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი სანიკიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალას, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

აღნიშნული ნაშრომი გამოყენებულია ჩემს მიერ, წინა სემესტრში აკადემიური წერისთვის.

შორენა კოტორეიშვილი 25.06.21

აბსტრაქტი

სამხრეთ კავკასია რუსეთისა და თურქეთისთვის ყოველთვის დაპირისპირების არეალი იყო. ჯერ კიდევ ოსმალეთისა და მეფის რუსეთის პერიოდში დაიწყო ეს დაპირისპირება და დღემდე გრძელდება. რადგან სამხრეთ კავკასიის რეგიონი თავისი სტრატეგიული მნიშვნელობით ყოველთვის იქცევდა დიდი იმპერიების ყურადღებას.

რუსეთი და თურქეთი დღეს კიდევ უფრო მეტად ცდილობენ ამ რეგიონში თავიანთი გავლენის გაზრდას და ამისთვის სხვადასხვა მეთოდებსაც მიმართავენ. თუმცა, მეტოქეობასთან ერთად ისინი აბალანსებენ თავიანთ ძალაუფლებას, ე.წ ძალთა ბალანსს ინარჩუნებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ რეგიონში მესამე ძალის გამოჩენას ისინი არ დაუშვებენ. რაც თავის მხრივ, რეგიონზეც ახდენს გავლენას.

ეს კვლევა ცდილობს პასუხი გასცეს კითხვას თუ, რა გავლენას ახდენს, თანამედროვე ეპოქაში, ამ ორი დიდი სახელმწიფოს, რუსეთისა და თურქეთის, პოლიტიკური ინტერესების გადაკვეთა სამხრეთ კავკასიის რეგიონზე.[1]

ძირითადი საძიებო სიტყვები: რუსეთი, თურქეთი, სამხრეთ კავკასია, პოლიტიკური რეალიზმი, თავდასხმითი რეალიზმი, ძალთა ბალანსი, ჰეგემონობა, რბილი ძალა, კონკურენცია, თანამშრომლობა, ენერგოპოლიტიკა.

[1] აღნიშნული მონაკვეთი (აბსტრაქტი) აღებულია ჩემ მიერ აკადემიური წერის კურსის ფარგლებში 2020-2021 წლებში შესრულებული სიმულაციური სამაგისტრო ნაშრომიდან: *თურქეთისა და რუსეთის პოლიტიკური ინტრესების გადაკვეთა სამხრეთ კავკასიაში(პოლიტიკური რეალიზმის თეორიის მიხედვით)*

Abstract

The South Caucasus has always been an area of confrontation for Russia and Turkey. This confrontation started during the period of the Ottoman Empire and Tsarist Russia and continues to this day. Because the South Caucasus region, with its strategic importance, has always attracted the attention of the great empires.

Russia and Turkey today are trying to increase their influence in the region and use different methods. However, with rivalry, they balance their power, maintaining a so-called balance of power, which means that they will not allow a third force to appear in the region. Which in turn affects the region as well.

This study seeks to answer the impact of the intersection of political interests of these two countries, Russia and Turkey, in the South Caucasus region in the modern era.

Keywords: Russia, Turkey, South Caucasus, Political Realism, Offensive Realism, Balance of Power, Hegemony, Soft Power, Competition, Collaboration, Energy Policy.

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, გიორგი სანიკიძეს, რომელიც ნაშრომის წერის პროცესში აქტიურად მეხმარებოდა. მისმა პროფესიულმა რჩევებმა საშუალება მომცა ნაშრომისთვის მიმეცა კონკრეტული მიმართულება.

ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო აკადემიური წერის კურსის ხელმძღვანელს, სალომე პატარიძეს, მან კურსის ფარგლებში საფუძვლიანად შემასწავლა აკადემიური წერისა და სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობის წესები, რაც ძალიან დამეხმარა სამაგისტრო ნაშრომის წერის დროს.

ასევე, მადლობას ვუხდი კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია პოლიტიკის მეცნიერებაში კურსის ხელმძღვანელს, ნინო ფავლენიშვილს. მისი კურსის ფარგლებში საფუძვლიანად შევისწავლე სამეცნიერო ნაშრომში კვლევის მეთოდების სწორად შერჩევა, რაც ძალიან დამეხმარა ნაშრომზე მუშაობის დროს.